№ 40 მთავრობის ორგანო — ყოველდღიური გაზეთი — წელიწადი მეორე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 2 მან. პარასკევი, 20 თებერვალი 1920 წ.

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი (ოფიციალური და არა ოფიციალური განკარგულებით)

საქართველოს რესპუბლიკა

მიიღება ხელის მოწერა გაზ. „საქ. რესპ.“ 1920 წლისთვის. გაზეთი ღირს 1 თვით 40 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 3 მ. 50 კ. და 4 გვერდზე 3 მ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრ. ზომისა 80 მ. 1 იანვრ. გაზ. ნისიად არავის გაეგზავნება. რედაქციის კანტორის მისამართი: ტფილისი, ბარონის ქუჩა № 6. ტელეფონის 1—82.

## სახელმწიფო თეატრი

ოპერა ხ. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით.

პარასკევს, 20 თებერვალს დილით

### დ ე მ ო ნ ი

საღამოთი იანსას შენეფისი „პიკის ქალი“ შაბათს, თებერვლის 21 ს დილით „გენზელი და გრეტელი. საღამოს „ქეთო და კოტე“. კვირას, დილით „ჩერევიჩკი“. საღამოს „აბესალომი და ეთერი“. ორშაბათს, 23 თებერვალს „ქეთო და კოტე“.

## ქართულ კლუბში

22 თებერვალს ყოფილ ოფიცერთა დამხმარე საზოგადოების არაჩვეულებრივი კრება

აღნიშნული საზოგადოების სარევიზიო კომისია ამით აუწყებს, საზოგადოების წევრებს, რომ კვირას, 22 თებერვალს შოხდება წევრთა კრება დილის 10 საათზე ქართულ კლუბის დარბაზში. განსახილველია: 1) სარევიზიო კომისიის მოხსენება საზოგადოების გამგეობის მოქმედების შესახებ. 2) განხილვა ინსტრუქციისა და 3) ზოგიერთი წევრების მოხსენებები გამგეობის მოქმედების შესახებ. წევრთა ჩაწერა საზოგადოებაში გრძელდება. საწევრო გადასახადი 25 მანეთი.

3—2 სარევიზიო კომისია

## შრომის სამინისტროს მუშათა მაგიდა

აცნობებს ყველა მუშებს და მოსამსახურეებს, რომელთაც მიიღეს საკურსათო წიგნაკები სახელმწიფო ფონდიდან სურსათის მისაღებათ, მათ უნდა მიმართონ ერთ-ერთ განმანაწილებელ ქალაქის საგამგეო სასურსათო განყოფილების, კოოპერატივ „ლორძინების“, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოებას, ქალაქის მოსამსახურეთა ეკონომიურ საზოგადოებას, ან უნდა შეერთდნენ ჯგუფ ჯგუფათ სანოვაგის პირდაპირ ცენტრალურ საწყობიდან მისაღებათ. ფორმა ჩასაწერი ბლანკებისა მოითხოვეთ თვით საგამგეოში.

3—1 224 მუშათა მაგიდის რწმუნებული.

## ქართველ მერძევეთა ამხანაგობის „განთიადის“

გამგეობა სთხოვს მათ, ვინც საამხანაგო ფული შემოიტანა და ხელშეკრულებაზე ხელი არ მოუწერია, გამოცხადდეს ტფილისის ნოტარიუს ქართველიშვილთან 15 თებერვლიდან ერთი კვირის ვადაში, რათა ხელი მოაწერონ ხელშეკრულებას. 269 3—3

## თიანეთის სამაზრო ერობის გამგეობა

იწვევს ფშავ-ხევსურეთის უბნისათვის ერთ მომრიგებელ მოსამართლეს. ჯამაგირი შტატით და 600 მანეთი ერობიდან დამატებით. ვისაც სურს არჩეულ იქნას, განცხადება და გავლილი სამსახურის საბუთები დაწერილებითი „კურიკულუმ ვიტეთი“ უნდა გამოუგზავნოს გამგეობას დ. თიანეთში 22 თებერვლამდე. 177 3—3

## სიღნაღის სამაზრო ერობის გამგეობა

იწვევს ორ სარაიონო ექიმ ვეტერინარებს. ჯამაგირი და დღიურები ერობასთან შეთანხმებით. 3—3

ოფიციალური განყოფილება.

## განკარგულებანი

### მთავრობის საქმეთა მმართველისა.

12 თებერვალი, 1920 წ. № 6.

1. მთავრობის საქმეთა მმართველობის საქმის მწარმოებლის თანაშემწე ნესტორ ერისთავი ამა წლის 1 თებერვლიდან განთავისუფლებულ იქნას აღნიშნულ თანამდებობიდან მისი მთავრობის სახლის გამგის კანცელარიის საქმის მწარმოებლად დანიშვნის გამო.

2. მთავრობის საქმეთა მმართველობის რეგისტრატორი ერასტი მურზაყანის ძე ჩაჰავარიანი ამა წლის 1 თებერვლიდან განთავისუფლებულ იქნას აღნიშნულ თანამდებობიდან და დაინიშნოს ამავე სამართველოს საქმის მწარმოებლის თანაშემწედ.

მთავრობის საქმეთა მმართველი

კ. ჯაფარიძე.

—

### იუსტიციის მინისტრისა

11 თებერვალი, 1920 წ., № 40.

რესპუბლიკის მთავრობის ამა წლის იანვრის 27-ს დადგენილების ძალით განთავისუფლებულია თანამდებობიდან: საქართველოს სენატის პროკურორის ამხანაგი ალექსანდრე გიორგის ძე ჯელაძე მისი ტფილისის სასამართლო პალატის თავმჯდომარედ დანიშვნის გამო.

11 თებერვალი, 1920 წ., № 41.

განთავისუფლებულია თანამდებობიდან თავისივე თხოვნით: კანცელარიის მოხელე გიორგი ფერაძე ამა წლის თებერვლის 10 დან.

11 თებერვალი, 1920 წ. № 42.

რესპუბლიკის მთავრობის ამა წლის თებერვლის 5 ს დადგენილების ძალით განთავისუფლებულია თანამდებობიდან: ტფილისის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგი ტარასი ნიჟარაძე ამა წლის თებერვლის 5 დან.

11 თებერვალი, 1920 წ. № 43.

**დაინიშნა:** ტფილისის ოლქის სასამართლოს პროკურორის ყოფილი ამხანაგი ტარასი ნიჟარაძე ფოთის უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებლად ამა წლის თებერვლის 5 დან.

11 თებერვალი, 1920 წ., № 44.

რესპუბლიკის მთავრობის ამა წლის თებერვლის 5 ს დადგენილების ძალით დაინიშნა: ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსად მიწათ მოქმედების სამინისტროს ყოფილი იურისკონსულტი კონსტანტინე რომანის ძე გოცირიძე ამა წლის თებერვლის 5-დან.

იუსტიციის მინისტრი რ. არსენიძე.

—

### ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსისა.

5 თებერვალი, 1920 წ. № 8.

**გაწვესებულია:** ყოფილი ფოსტალიონი ილია არევაზოვი ახლად ფოსტალიონად შუალავერში 480 მან. ძირითადი ჯამაგირით წელიწადში, სიძვირის გამო პირველ კატეგორიის შიმატებით 11 თებერვლიდან 1920 წ.

**გადაყვანილნი არიან:** წნორის წყლის მესამე ხარისხ. მოხელე მარიამ ერკარაპე იანცისა, ქუთაისის მეექვსე ხარისხის გრიგოლ ჭუმბურიძე, სამტრედიის მეხუთე ხარ. იერონიმე ცინცაძე, გაგრის მესამე ხარ. რაჟდენ ნიკურაძე, სოხუმის მეექვსე ხარისხის ილია ჯიჯელავა, ახალციხის მესამე ხარ. ალექსანდრე ხითარაშვილი, ტფილისის მეხუთე ხარის. არქიპო პირველაშვილი და ფოსტალიონი სოხუმის კანტორისა ალექსი კოხრეიძე იმავე წოდებით: ტერ კარაპეტიანცი მანგლისში, ცინცაძე—გაგრაში, ნიკურაძე—სამტრედიაში, ჯიჯელავა—ზუგდიდში, ხითარაშვილი—ქუთაისში, პირველაშვილი—ყვირილაში, კოხრეიძე—მიხაილოვში და ჭუმბურიძე—ბახვში. ცინცაძე, ნიკურაძე, ჯიჯელავა, პირველაშვილი და კოხრეიძე 6 თებერვლიდან; ტერ კარაპეტიანცი, ხითარაშვილი და ჭუმბურიძე 11 თებერვლიდან, ხოლო ცინცაძე, ნიკურაძე, ჯიჯელავა, ხითარაშვილი და პირველაშვილი თანხმად თხოვნისა.

**დათხოვნილნი არიან:** უნცროსი მექანიკოსი დაბალი ჯამაგირისა ტფილისის ტელეგრაფის კანტორისა ქალი მარიამ ნაცვალოვისა და მეხუთე ხარ. მოხელე იმავე კანტორისა ზოია პაციევა თანახმად თხოვნისა 1 თებერვლიდან 1920 წლისა.

სამმართველოს უფროსი მგელაძე.

## მიწათ-მოქმ. სამინისტროში

### ერობათა სამიჯნათ განყოფილებების მოწყობა.

მიწათ მოქმედების სამინისტრომ შემდეგი ცირკულიარი დაუგზავნა ერობებს: სამაზრო ქალაქებში სამიჯნათ განყოფილებათა მოწყობის საქმე წარსული წლის ივლისიდან არის დაწყებული და თქვენ მაზრაში ჯერ საჭირო ქონება არ წაუღიათ უბინაობის გამო და საჭიროება კი მოითხოვს, რომ პირველ მარტისთვის მოწყობილ იქნას განყოფილებები და ადგილზე იყვეს შესაფერი კადრი მიწის მზომელებისა, რომ პირველ შეძლებისათანავე გავიდნენ მინდვრად სამუშაოთ. ამავე დროს აქ, ტფილისში, უკვე მთელი ქონება განაწილებული და დამზადებულია წასაღებათ, ამიტომ მინისტრის დავალებით გთხოვთ რაც შეიძლება მალე დაამზადოთ ბინა სამიჯნათ განყოფილებისათვის, რათა ამით გაადვილდეს და ადრე გაზაფხულზე ყველგან წესიერად დაიწყოს სამ წისმზომლო მუშაობა.

**წყალთა განყოფილების მუშაობა.**

თებერვლის პირველ ნახევრის განმავლობაში მიწათ მოქმედების სამინისტროს წყალთა განყოფილების მუშაობა შემდეგში გამოიხატებოდა: აგროვებდა და სისტემაში მოჰყავდა 1920—1921 საბიუჯეტო წლის ხარჯთ აღრიცხვისთვის საჭირო მასალები და დაამუშავა აგრეთვე მასალები და შეადგინა ხარჯთ-აღრიცხვა იმ დიდი საირიგაციო სამუშაოთათვის, რომლებიც მიმდინარე წელს უნდა იქნეს შესრულებული.

გრძელდება მუშაობა ყარაიაზის სახელმწიფო მამულის პირველი განყოფილების არხის შეკეთებისათ. დანიშნულია ახალი ხელმძღვანელი ამ სამუშაოსთვის ხელმძღვანელობის გასაწევათ და მიღებულია ზომები, რომ ხსენებულ სამუშაოში მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივმა მცხოვრებლებმა.

დამზადებულია სახელმწიფო კონტროლისთვის წარსადგენათ ხარჯთ აღრიცხვა ზემოხსენებულ მამულის მეორე განყოფილებაში საირიგაციო სამუშაოთა წარმოებისთვის, რისთვისაც წინასწარ მუშაობას უკვე შეუდგენ. ნაწილი ამ სამუშაოსი სახალხო გვარდიას გადაეცემა.

## დამფუძნებელი კრება

### 17 თებერვლის სხდომა.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

მდივანი კითხულობს კომისიებში გადასაცემათ შემოსულ კანონ პროექტებს:

დიპლომატიურ ლოჟაში იმყოფება იტალიის ეკონომიური მისია, რომელსაც თავმჯდომარე შემდეგი სიტყვებით მიმართავს: ნება მიბოძეთ ბატონებო, მივესალმო სტუმრებს, იტალიის ეკონომიურ დელეგაციას, რომელიც საქართველოს ეწვია, (ტაში და ოვაციები) ვუსურვოთ ნაყოფიერი მუშაობა და მოვესწრათ იმ დღეს, რომ იტალიის და საქართველოს ხალხს შორის, რაც შეიძლება მჭიდრო კავშირი დამყარდეს.

შემდეგ ილ. ფირცხალაიშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი დამფუძნებელ კრების არჩევნების დაბოლოების დამატებისა. ამ დეკრეტის ძალით სოხუმში დაარსდება 4 სამაზრო საარჩევნო კომისია, ნაცვლად ერთი საოლქო კომისიისა, როგორც ეს წინეთ იყო განზრახული. ცენტრალურ საარჩევნო კომისიას კიდევ ეძლევა 6 თვე სოხუმის ოლქში არჩევნების მოსახდენათ. არჩევნები დაიწყება მარტში.

**გაგრძელება მსჯელობისა მიწ. მოქმედების სამინისტროს შტატების შესახებ.**

ლ. შენგელაია (ს.-რ.) აღნიშნავს, რომ არც ერთი ნაწილი აგრარული რეფორმისა არ არის გატარებული. ეს მაშინ, როცა სამინისტროს არ ჰქონია დაბრკოლება არც პოლიტიკური განწყობილების მხრივ, არც ფინანსიური, არც ადმინისტრატიული. მხოლოდ სოც.-დემოკრატია ყოველთვის ეფარება ობიექტიურ პირობებს და ამით უნდა ახსნას თავისი უილაჯობა, უმოქმედობა. ანარქიამ შეგვიშალა ხელიო, მე ვაცხადებ, რომ ანარქია არ ყოფილა, და თუ იყო, ის გამოიწვია სოც. დემოკრატების აგრარულმა კანონმა. ოთხი იყოვო, სთქვეს აქ, კარგი და პატიოსანი, მაგრამ ომი, როგორც ვიცით აწარმოებდა სამხედრო და შინაგან საქმეთა სამინისტრო და არა მიწათმოქმედების სამინისტრო. როგორც მოგახსენეთ აქ ობიექტიური პირობები იმდენათ დამნაშავე არ არის, რამდენადაც სოც.-დემოკრატიის და მის სამინისტროს უილაჯობა, უუნარობა.

**მიწათ-მოქმედების მინისტრი ნ. ხომერიკი.**

მე გამოვედი იმიტომ, რომ ზოგიერთი ფაქტიური ცნობები მოგახსენოთ. ბ. შენგელაიამ დაგვიხატა წარსულ სხდომაზე და დღესაც ისეთი სურათი, რომელსაც სინამდვილესთან არავითარი საერთო არა აქვს. საქმის მდგომარეობა სულ სხვა ნაირი არის ვინემ ეს აქ წარმოადგინე. რასაკვირველია, არის ნაკლი, მაგრამ ის კი, რასაც ფიქრობდა და ვარაუდობდა უწყება, სავსებით გამართლდა და მოლოდინსაც გადააჭარბა. აი ციფრები.

საიჯარო განყოფილებაში ნავარაუდევი იყო საბიუჯეტო წლის ბოლომდე (1 ივნისიდან იწყება) 24.388 713 მან. შემოვიდა 1920 წ. 1 იანვრამდე 14.108.338 მ., იანვრიდან 1 ივნისამდე მოსალოდნელია კიდევ 21.884.002 მ.; საიჯარო განყოფილებაში 7 თვის განმავლობაში დაიხარჯა 683.386 მან. წმინდა მოგება რჩება 13 484 952 მ. სატყეო განყოფილებაში ნავარაუდევი იყო წლის ბოლომდე (იგულისხმება 1 ივნისიდან 1919 წ. 1 ივნისამდე 1920 წ.) 7.037.450 მან., შემოვიდა 1 იანვრამდე 1920 წ. 7 380.375 მ., დაიხარჯა—7.312.317 მან. წმინდა შემოსავალი—68 058 მ.

ბ. შენგელაიამ აქ გამოიტანა რიცხვი 24 მილიონი და სთქვა, რომ ამდენი გასავალი ჰქონია სამინისტროს ტყეებზე, ხოლო შემოსავალი საგრძნობ ნაკლებიო. მას ვერ გაუგია, თუ რას შეიცავდა ეს რიცხვი. უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ განზრახული გვქონდა სამეურნეო წესით შეშის დამზადება. სხვა ამის ხარჯთ აღრიცხვა შეადგენდა 17 მილიონ მანეთს. სულ კი სატყეო განყოფილების ხარჯთ-აღრიცხვა აღწევდა 24 მილ. მანეთამდე. მაგრამ რადგანაც ჩვენ ვერ მოვაწყვეთ ეს შეშის დამზადება, ცხადია არც 17 მილიონი მანეთი დაგვიხარჯავს, ბ. ლეო შენგელაიას რამე რომ გაეგებოდეს ამ საქმის, ან მას რომ სიმართლე და საქმე აინტერესებდეს, მას უნდა აეღო 24 მილ. მან. და უნდა მოეკლო იქიდან 17 მილ. მაშინ მის უსაფუძვლო და დაუსაბუთებელ სიტყვას ადგილი არ ექნებოდა. (შემდეგ მინისტრი განაგრძობს ციფრების მოყვანას ოპოზიცია, როგორც მარჯვნივ ისე მარცხნივ ღელავს, ხმაურობაა სოც. დემოკ. სკამიდან. ისმის ხმები: „ჩაჯდა შენგელაია და სხვა“). შინა მრეწველობის განყოფილებამ წმინდა მოგება მოგვცა 543,617 მან., სახელმწიფო მამულების და სარდაფისაგან ნავარაუდევი იყო 16,435,739 მან. შემოვიდა 1 იანვრამდე 46 მილიონი მან., დაიხარჯა 17,246,000 მანეთი

ნაღდი მოგება დარჩა 28,754,000 მან., ბორჯომის შემოსავლიდან ნავარაუდევი იყო თექვსმეტი მილიონ შვიდას ორმოცდაცხრამეტი ათას სამას სამოცდა თვრამეტი მან. შემოვიდა 7 თვეში 16,545,500 მან. დაიხარჯა—10,500,000 მან., წმინდა მოგება დარჩა 6,045,000 მან., ყარაიაზის მამულიდან შემოვიდა 5 მილიონი მან. დაიხარჯა 700,000 მან., დარჩა წმინდა 4,300,000 მ ნ. აი ასეთია საქმის მდგომარეობა. მე კიდევ ვიმეორებ, რომ უფრო მეტის გაკეთება შეიძლება, უმჯობესი იქნება მოეწყოს მეურნეობის საქმე, მაგრამ უნდა განვაცხადო, რომ მდგომარეობა ისეთი არ არის, როგორც ეს ღ. შენგელაიამ დახატა. მართალია მიწათ მოქმედების სამინისტრო ომს არ აწარმოებს, მაგრამ ბ. შენგელაიამ უნდა იცოდეს, რომ რომელ კუთხეშიც არ უნდა სწარმოებდეს ომი სულერთია, ეს გავლენას ახდენს სასოფლო და სახელმწიფო მეურნეობაზე, ეს ანბანური ჭეშმარიტებაა, ამის არ ცოდნა დანაშაულია დეპუტატისათვის. თუ ყველგან არ არის ჯერ კიდევ დასრულებული მიწის ჩამორთმევა ეს ობიექტიური პირობების ბრალია. ანარქიამ ხელი შეუშალა მუშაობაში და გარდა იმისა, როგორც წინათ მოგახსენეთ ჩვენ საშუალება გვქონდა 2 წლის განმავლობაში მხოლოდ 11 თვე გვემუშავა, რადგანაც მინდორში მუშაობა ავდარში არ შეიძლება.

რაც შეეხება ტყეებს უნდა მოგახსენოთ, რომ შემოსავალი ტყეებიდან თანდათან იზრდება. აქ მინისტრს მოჰყავს ციფრები, რომლებიც ნათლად ამტკიცებენ თუ როგორ იზრდება ტყის შემოსავალი თვიურათ. და თუ კიდევ მეტი არ არის შემოსავალი ტყისა, ამბობს მინისტრი, ეს იმით არის ნება, რომ ჩვენ გლეხებს შეშას უფასოთ ვაძლევთ და სამ მეოთხედს ხე ტყის მასალისა 9 ჯერ უფრო ნაკლებათ, ვინემ ამას ბაზარზე ვყიდით. ყოველ შემთხვევაში, ასკვნის მინისტრი, არ შეიძლება შემოსავლის სიცოტავეზე ლაპარაკი იმ ფრაქციას, რომელიც ყოველთვის გადასახადების წინააღმდეგ მიდის და ყველას ჰპირდება მიწას, ტყეს და ყველაფერს უფასოდ. აი ასეთია საქმის მდგომარეობა.

გრ. გიორგაძე (ს. დ.) უპასუხებს რა შენგელაიას, ამბობს, რომ სწორედ ობიექტიური პირობები, რომელსაც ესერები ანგარიშს არ უწევენ დიდ დაბრკოლებას უყენებდა მთავრობას თავის მოქმედებაში და მთავრობა უმთავრეს თავის ენერგიას ამ პირობების გადალახვას ანდომებდა. მთელმა ამ ისტორიულმა პროცესმა ესერების გვერდით ჩაიარა, როდესაც კონტრ-რევოლიუციურ მონაპირეებს საფრთხე მოელოდა, ესერები ან ხელს იბანდენ ან და თვითონ ხელს უწყობდნენ ანარქიას და იმ დაბრკოლებებს, რომლებსაც მთავრობა ებრძოდა. ორატორი მოითხოვს, რომ დეკრეტი მიღებულ იქნას.

დეკრეტი მომხსენებლის სიტყვის შემდეგ მიღებულ იქნა.

**დეკრეტი ტყიბულის მაღაროების სააქციო საზოგადოების „ნახშირის“ ქონების გამოყიდვისა და ტყიბულის მაღაროების ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებისა.**

ვ. ფუფხაია (მოხს ენებელი) აღნიშნავს, რომ უწყებას გადაწყვეტილი აქვს ტყიბულის მაღაროების სააქციონერო საზოგადოების „ნახშირისაგან“ გამოყიდვა. ჩვენ უნდა შევიძინოთ მთელი ქონება, ინვენტარით და უნდა დავიწყოთ საკუთარი წარმოება. გამოსაყიდლათ საჭიროა 12 მილიონი მან., ხოლო საექსპლოატაციოთ—33 მილიონი მან. ეს ხარჯთაღრიცხვა შედგენილია 1 ნოემბრიდან 1919 წ. 1920 წ. 1 ივნისამდე.

ი. ნუცუბიძე (ს. რ.) დეკრეტის მეორე ნაწილს ჩვენ ვიზიარებთ, მხოლოდ წინააღმდეგი ვართ სააქციონერო საზოგადოებისაგან ქონების გამოყიდვისა. ეს ქონება ჩამორთმეულ უნდა იქნას სრულიად უსასყიდლოთ, ამას მოითხოვს, როგორც სახელმწიფოს ფინანსიური [illegible] სოციალისტური პრინციპი.

[illegible] ის უფროსი [illegible] [illegible] ობა ყიდ- [illegible]

გზების გამოყიდვის შესახებ, იქ ამას ხმა მისცეს საფრანგეთის სოციალისტებმა, ევროპაში ასეთი ფაქტები მრავალია მუნიციპალიტეტის თუ სახელმწიფოს ცხოვრებაში. ბ. ნუცუბიძე ამბობდა, რომ აქ ორი მიმართულება იბრძვის — ერთი სოც. დემოკრატიულ ნაც. დემოკრატიული და მეორე სოციალისტური. მე კი ვამბობ, რომ აქ იბრძვის ორი დებულება ერთი საქმიანობის, ცოდნის, მეორე უსაქმურობის, უცოდინარობის. ბ ნუცუბიძეს არ ესმის ის, რომ აქციებს ერთი სოლიდური ფასი აქვს, ისინი შეიძლება ჩქარა გაიპარებიან საზღვარ გარეთ და მაშინ, როგორ ფიქრობს ბ. ნუცუბიძე, აიცდენს თუ არა თავიდან გამოყიდვას.? ჩვენ ამას წინეთ მივიღეთ საერთაშორისო ვალდებულებანი და ეს კი გვავალებს უცხოელთა ინტერესების და ქონების დაცვასა, ნუცუბიძემ კი ეს არ იცის და ამას ანგარიშს არ უწევს, ეს კი დაუშვებელია.

ბ. ნუცუბიძის არც ფინანსიური მოსაზრებაა მართალი. საქმე იმაში კი არ არის ხაზინიდან მიდის თუ არა ფული, არამედ საქმე იმაშია თუ რაში იხარჯება ეს ფულები. ჩვენ, მართალია 12 მილიონ მანეთს ვიღებთ ხაზინიდან, მაგრამ სამაგიეროთ ვიძენთ უფრო მეტათ ღირებულ ეკვივალენტს და საკუთარ წარმოებას ვიწყებთ, ეს კი სახელმწიფოს ფინანსების გაჯანსაღების მეტს არაფერს არ ნიშნავს. ყველა ამ მოსაზრებების გამო მე ვითხოვ, რომ დეკრეტი მიღებულ იქნას.

დეკრეტი მუხლობრივ განხილვის შემდეგ მიღებულ იქნა.

დასასრულ დამფუძნებელი კრება იღებს პრეზიდიუმის შემდეგ წინადადებებს.

1) ის ფული, რომელიც დაგროვდა და მომავალშიაც დაგროვდება დეპუტატების დაჯარიმებით გადაეცემა გარდაცვალებულ დეპუტატის ოჯახს.

2) სხდომა შემდეგში იწყებოდეს სრულ 12 ს.

3) არჩეულ უნდა იქნეს მომარაგების კომისია.

# იაპონიის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა.

საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. პ. გეგეჭკორმა პარიზიდან დელეგაციის თავმჯდომარე ნ. ს. ჩხეიძისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: „7 თებერვალს მივიღეთ შემდეგი ბარათი: საზავო კონფერენციის გენერალური სეკრეტარს აქვს პატივი აცნობოს, საქართველოს დელეგაციის თავმჯდომარეს, რომ იაპონიის მთავრობამ ახლა გვაუწყა: ბრიტანეთის, საფრანგეთის და იტალიის მთავრობას იგიც უერთდება საქართველოს მთავრობის „დე ფაქტოს“ აღიარებაში“. ჩხეიძე.

# მილოცვები

**ოსმალეთის პარლამენტის მილოცვა დამფუძნებელ კრებას.**

საქართველოს პარლამენტის პრეზიდიუმს.

„ოსმალეთის პარლამენტის დადგენილებით გილოცავთ საქართველოს რესპუბლიკის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას“.

ოსმალეთის პარლამენტის დროებითი თავმჯდომარე **ილიაზ ეფენდი.**

—

**ოსმალეთში მყოფ მთიელ ხალხთა კავშირისაგან.**

მთავრობას შემდეგი დეპეშა მოუვიდა:

„ოსმალეთში მცხოვრებ მთიელთა და ჩერქეზთა ხალხის სახელით გილოცავთ ანტანტის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას“.

—

**დამფუძნებელ კრების პასუხი.**

კონსტანტინეპოლი, ოსმალეთის პარლამენტის ბატონ თავმჯდომარეს:

საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ ამა თებერვლის 17 სხდომაზე ღრმა სიამოვნებით მოისმინა ოსმალეთის პარლამენტის მილოცვა—უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის გამო და მხურვალე [illegible] უძღვნის იგი ოსმალეთის პარლა- [illegible]

[illegible] უძნებელი კრება გამოსთქვამს მტკიცე [illegible] ს, რომ ოსმალეთსა და საქართველოს [illegible] ა დამყარდება კეთილ მეზობლური ურთიერთობა, რომელიც ხელს შეუწყობს ორივე [illegible] ზღვრე სახელმწიფოს ხალხთა კულტურულ განვითარებას.

ქართველოს დამფუძნებელი კრების
თავმჯდომრის უფროსი ამხანაგი
ალ. ლომთათიძე.

# ჯარის ცხოვრება.

## 2.

**მორიგი გაწვევა.**

რესპუბლიკის დამფუძნებელ კრების მიერ 1919 წლის 31 ივლისს მიღებულ სამხედრო ბეგრისა და შეიარაღებულ ძალთა შევსების კანონის პირველი მუხლი ამბობს:

„სამხედრო ბეგარა რესპუბლიკაში საყოველთაო და ყველა მოქალაქისათვის საპირადო“, ე. ი. რესპუბლიკის ყოველი ქვეშევრდომი, რომელიც სარგებლობს მოქალაქის ყველა უფლება უპირატესობით, ვალდებულია ყოველ მიზეზის გარეშე პირადათ მოიხადოს სამხედრო ბეგარა. გამონაკლისს შეადგენენ დუხობორები და მაჰმადიანები.

ამის და მიხედვით რესპუბლიკაში ყოველ წლის 15 ნოემბერს იწყება მორიგი გაწვევა ყველა იმ სამხედრო ვალდებულთა, რომელთაც გაწვევის წლის მომდევნო 1 იანვრისთვის შეუსრულდებათ 20 წელი. ამ რიგად ამ წლის მომავალ 15 ნოემბერს დაიწყება მორიგი გაწვევა ყველა 1900 წელში დაბადებულ მოქალაქეთა. საზოგადოთ მორიგი გაწვევის წარმატებით ჩატარებაში დიდი მნიშვნელობა აქვს გამწვევ სიების შედგენას, რის შესახებ საჭიროთ მიგვაჩნია ვსთქვათ შემდეგი.

თანახმად რესპუბლიკის ჯარების მიმართ 1919 წლის 4 მარტიდან № 74, მთავრობის ბრძანებისა, საღრიცხვო დაწესებულებებს წარმოადგენენ მაზრებში—სოფლის და ქალაქებში—უბნის კომისარიატები. დღეს კი მაზრებში ეს ევალება თემთა გამგეობებს. აღნიშნულ დაწესებულებათა უმეტეს ნაწილის მიერ გასული წლის მორიგ გაწვევის სიები საერთოდ ისე უყურადღებოდ იყო შედგენილი, რომ ყოვლად შეუძლებელი გახდა ამ სიებით სარგებლობა. მართალია, გასულ წელს რესპუბლიკა არ იყო ნორმალურ სახელმწიფოებრივ მდგომარეობაში—ბევრი მხრიდან გარეშე საფრთხე ელოდა, შინაური ცხოვრებაც არეულ-დარეული იყო, მაგრამ ყოველივე ეს მაგრიგად მაინც არ შეუძლიდა ხელს კომისარიატებს სიების წესიერად შედგენაში თითქმის უმნიშვნელო გამონაკლისის გარდა, შარშან ჯარში გასაწვევთა სიები არ იყო სრულად შემდგარი: იქ, სადაც მინიმალური % მიხედვით უნდა ყოფილიყო შეტანილი 100 სამხედრო ვალდებული, სიებში აღნიშნული იყო მხოლოდ 25—30 კაცი. ამავე დროს ზოგიერთ საღრიცხვო დაწესებულებას სიები არ ჰქონდა დასახელებული აგვისტო-სექტემბერში, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ვალდებულნი იყვნენ წარედგინათ სიები ყოველ მიზეზის გარეშე არა უგვიანეს 1 აპრილისა. და როდესაც მთავრობა იძულებული გახდა ასეთ მდგომარეობის წინააღმდეგ მიეღო მკაცრი ზომები, აღრიცხვის დაწესებულებებმა დაიწყეს დამატებითი სიების შედგენა, რომელშიც ათავსებდნენ სრულიად გაუსინჯავ ცნობებს. ამის დასამტკიცებლად საკმარისი იქნება მოვიყვანოთ შემდეგი ფაქტი: ერთ-ერთ თვითმართველობის სიაში სხვათა შორის შეტანილი იყო მოქალაქის ვაჟი, რომელიც გარდაიცვალა დაბადებიდან რვა თვის თავზე. ეჭვს გარეშეა, რომ გამწვევ სიების ამ სახით შედგენის დროს არღვეული კანონი, გამოცემული ბრძანება განმარტებები და რესპუბლიკის მუდმივი ჯარის ინტერესები სრულიად მივიწყებული იყო და ასეთი საღრიცხვო დაწესებულებები თავიანთ თავს ყოველგვარ პასუხისმგებლობის გარეშე გრძნობდნენ. ამგვარ მოქმედებამ კი მეტის-მეტ ცუდ პირობებში ჩააყენა მუდმივი ჯარი და დღეს საქმის გამოსასწორებლად რესპუბლიკას სჭირია დიდი შრომა და ხარჯი.

მომავალ გაწვევის დროს ასეთი საზიანო მოვლენის თავიდან ასაშორებლათ სამხედრო სამინისტრომ მიიღო ყოველგვარი ზომები, რომ გამწვევი სიები თავის დროზე და სწორათ იქნეს შედგენილი. გენერალურ შტაბმა უკვე დაურიგა ყველა სამაზრო ერობათა გამგეობებს და ქ. ტფილისის თვითმართველობას სიების შესადგენათ საჭირო რაოდენობის ყოველგვარი ბლანკები, მორიგ გაწვევის უწყებები და დაწვრილებითი ინსტრუქცია მუშაობის სახელმძღვანელოთ. ამ სახით ჯერი მიდგა სამაზრო ერობებსა და ქ. ტფილისის თვითმართველობაზე, რომელთაც ევალება სათანადო ზომების მიღებით საღრიცხვო დაწესებულებებს სწორათ და დროზე შეადგინონ გამწვევი სიები, რათა მომავალ გაწვევის დროს არ განმეორდეს ისეთი არევ დარევა, როგორსაც ჰქონდა ადგილი გასულ წელს.

დღეს საქართველოს რესპუბლიკის ცხოვრებაში ახალი ხანა იწყება: მძიმე ტანჯვით, გაუზომელი შრომით და დიდი მსხვერპლით ქართველმა ერმა აღადგინა თავისი ძალა-უფლება და დაიწყო მშვიდობიანი გზით სახელმწიფოებრივი ცხოვრების აღმშენებლობითი მუშაობა. და დღეს ყოველი სახელმწიფო დაწესებულება, თუ კერძო მოქალაქე, რომელსაც სურს ერის კეთილი წარმატება, მშრომელი ხალხის სრული უფლებებით აღჭურვა და მისი ბედნიერი მომავალი,—ვალდებულია სწორათ, მტკიცეთ და უყოყმანოთ შეასრულოს დამფუძნებელ კრებისა და მთავრობის მიერ გამოცემული ყოველი კანონი და ბრძანება-განკარგულება. ისეთი სამარცხვინო მოვლენები, როგორსაც ადგილი ჰქონდა შარშან-შარშანწინ რესპუბლიკის სხვა და სხვა კუთხეებში, დღეს აღარ უნდა განმეორდეს. ფაქტი ფაქტათ რჩება: ბევრი მაგალითი ყოფილა, რომ დეზერტირს სოფლის კომისრისთვის უძღვნია ჯარის ნაწილიდან გატაცებული სახაზინო ფეხსაცმელი და ამის ნაცვლად კომისარს რესპუბლიკის ასეთი მოღალატე პირისთვის მთელი წლით გაუშვია მფარველობა. არა ნაკლებათ ითელებოდა დემოკრატიულ მთავრობის კანონ-განკარგულება ზოგიერთ კომისრებისა და სოფლის მწერალთა მიერ გასული წლის მორიგ გაწვევის სიების შედგენის დროს: ბევრი სამხედრო ვალდებული სულ არ იქნა შეტანილი გამწვევ სიებში ქრთამის, „ფეშქეშის“ და მოყვრობა მოკეთეობის მიზეზით.

დღეს მაზრებში მოქმედობს დემოკრატიული პრინციპებზე აგებული თემთა გამგეობები და სრულიად დარწმუნებული ვართ, რომ კანონი, ვალდებულება და წესი მტკიცეთ იქნება დაცული.

თავდაპირველათ საღრიცხვო დაწესებულებებმა უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციონ გამწვევ სიებში თავის რაიონის ყველა 1900 წელში დაბადებულ მოქალაქეთა შეტანას და აგრეთვე მათზე მორიგ გაწვევის უწყების ჩაბარებას და მეორეთ—გამწვევ სიების სათანადოთ შემოწმებულ 2 ცალის სათანადო სამაზრო ერობის გამგეობასა და ქ. ტფილისის თვითმმართველობაში ყოველ მიზეზის გარეშე მომავალ 1 აპრილამდის წარდგენას. ეს შრომა არავითარ სიძნელეს არ წარმომადგენს და მისი სწორათ შესრულებისათვის საჭიროა მხოლოდ კანონის მტკიცეთ შესრულება.

ამავე დროს ყოველ სამხედრო ვალდებულს ევალება მიიღოს ყოველგვარი ზომა, რომ ის დროზე იქნეს შეტანილი გამწვევ სიებში. ყოვლად წარმოუდგენელია, რომ მოქალაქემ არ იცოდეს როდის უწევს მას სამხედრო ბეგარის მოხდა. ამიტომ ის ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოეცხადოს თავის საღრიცხვო დაწესებულებას, ჩაეწეროს გამწვევ სიაში და მიიღოს მორიგი გაწვევის უწყება, რომელშიც დაწვრილებით აღნიშნულია, თუ როგორ უნდა მოემზადოს ის მორიგ გაწვევისთვის.

თანახმად ზემოხსენებულ სამხედრო ბეგრისა და შეიარაღებულ ძალთა შევსების კანონის მე-7 მუხლისა, სამხედრო ბეგრის მოხდიდან თავისუფლდებიან 1919 წლის 20 მაისის კანონით გათვალისწინებულნი ოჯახის მარჩენლები; აგრეთვე ამავე კანონის მე-11 მუხლის ძალით სხვათა შორის ვადის გადადებით სარგებლობენ ფიზიკურათ უძლურნი, ან დაავადებულნი ისეთი ავადმყოფობით, რომელიც სამსახურიდან მთლათ არ ანთავისუფლებს და საშუალო სკოლის მოწაფენი 21 წლის შესრულებამდის. ყველა ეს აღნიშნულნი პირნი, თუ ისინი არ იქნებიან გამწვევ სიებში შეტანილნი, გაწვევის დროს არ გამოცხადდებიან პირადათ და არ წარმოადგენენ სათანადო მოწმობებს,—კარგავენ ყოველგვარ შეღავათს და მიეცემიან პასუხისგებაში, როგორც დეზერტირები.

საქმის ასეთი მდგომარეობა ყოველ სამხედრო ვალდებულს უკარნახებს საკმარისი შეგნებით მოეკიდოს ისეთ საამაყო ვალდებულების პირნათლათ ასრულებას, როგორიც არის რესპუბლიკის არსებობის, მის დამოუკიდებლობის და ერის წარმატების სამსახური, ხოლო საღრიცხვო დაწესებულებათა შესახებ უნდა ვიფიქროთ რომ ისინი წელს მაინც ყოველ მიზეზის გარეშე შეადგენენ სწორათ გამწვევ სიებს და ამით შესაძლებლათ გახდიან მომავალი მორიგ გაწვევის ნორმალურათ გატარებას, რომლისგან დამოკიდებულია მუდმივი ჯარის საბოლოოთ შევსება—განმტკიცება.

ა ნი.

# მუსლიმან ქართველებს.

**ღვიძლო ძმებო!**

ამ სათაურით გაზ. „სამუსლიმანო საქართველოში“ დაბეჭდილია მოწოდება სამუსლიმანო საქართველოს გამათავისუფლებელ კომიტეტისა. მოგვყავს მოწოდება შემოკლებით

დიდი ტანჯვა-ვაება უცდია ჩვენს ხალხს. დიდხან უბატონებია ჩვენზე უცხოელებს. დიდი შეურაცყოფა, დიდი წვალება მოუყენე-

ზიათ მათ ჩვენთვის. გავიხსენოთ თუნდ რუსეთის თვითმპყრობელობის მახურთაგან ამ ბოლო დროს მოყენებული უბედურება, როცა 1915 წ. ლიახოვები და გუბსკები ცეცხლითა და მახვილით შემოგვესივნ, ჩვენი ქვეყნიდან გადაგვრეკეს, ჩვენი სახლ-კარი გადაწვეს, ჩვენი ძმები ზოგი ჩამოახრჩვეს და ზოგსაც ურცხოეთში ამოხდა სული.

რუსეთის თვითმპყრობელობას გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ ჩვენ სავსებით გავენადგურებინეთ, სავსებით ავეყარეთ ჩვენ საყვარელ მიწა-წყალიდან, რომ ჩვენ სამოსახლოზე რუსეთის ყაზახები ჩამოესახლებინათ.

მთელი ქართველობა აღაშფოთა თვითმპყრობელობის ასეთმა ველურულმა საქციელმა. მთელი ქართველი ერი ალსდგა და დაემუქრა თვითმპყრობელობას, რომ თუ ის ქართველ მუსლიმანების ტანჯვასა და წამებას თავს არ გაანებებდა, ქართველი ერი აჯანყდებოდა. ჩვენმა სახელოვანმა მოამაგემ, ჩვენმა მოძმე აკაკი ჩხენკელმა, რომელიც მაშინ სახელმწიფო დუმის დეპუტატი იყო, მთელ ქვეყანას აცნო თვითმპყრობელობის მიერ ჩვენდამი მოყენებული ვაება. მან მოითხოვა ქართველი ერის სახელით, რომ ჩვენთვის ხელი არ ეხლოთ.

მშობლიურმა გრძნობამ იფეთქა, ძმამ ვერ მოითმინა ძმის ტანჯვა-ვაება, ერთმა ძმამ—ქართველ ქრისტიანებმა—მეორე ძმას—ქართველ მუსლიმანებს—ძმური ხელი გამოუწოდა.

გადავრჩით უბედურებას, და ცოტა უფრო ამედიანათ ამოვისუნთქეთ. მალე თვითმპყრობელობის ტახტიც დაინგრა. ჩვენი ამედი გაორკეცდა, ომიანობა შეწყდა და წამოდგა საკითხი პატარა ერების განთავისუფლებისა. განთავისუფლდენ ადერბეიჯანი, საქართველო. დადგა ჩვენი განთავისუფლების ჟამიც.

აი, ასეთი ბედნიერება უნდა მოგვეპოვნა. მარა დროს მოხმარება უნდა.

ზოგიერთები გვეუბნებიან, რომ ჩვენ ოსმალეთს უნდა შევუერთდეთ. კარგად ჩაუკვირდით: შესრულდება ეს თუ არა.

ოსმალეთმა ომი წააგო. შეთანხმების სახელმწიფოები: ინგლისი, საფრანგეთი, იტალია მას ანაწილებენ. მას ჩამოაცალეს სირია, მესოპოტამია, პალესტინა—მთელი არაბეთი. თვით სტამბოლის ბედზეა ახლა დავა.

ასეთია ოსმალეთის მდგომარეობა. სამწუხაროა ეს, მარა ეს ასეა, ეს მწარე სინამდვილეა.

და თქვენ გატყუებენ ძმებო! უნდათ საშინელ დღეებში ჩაგვაგდონ; უნდათ, რომ ჩვენი ქვეყანა სისხლით მოირწყას. კერძო ინტერესებით შეპყრობილი პირები შემოგვესიენ და მათი კერძო ინტერესებისთვის მათ თქვენი სისხლი დასჭირდათ. რათ არ მიჰბედავენ ღმერთს ეს პირები. რათ შეჰყვებართ მათ შეცდომაში.

ჩაუკვირდით მდგომარეობას. კარგად მიიკით-მოიკითხეთ, თქვენც ჭკუა გაქვთ, გონება გაქვთ. ნუ მოატყუებინებთ თავს კერძო ინტერესებით შეპყრობილ პირებს.

რუსებსაც განუზრახავთ ჩვენი მოტყუილება. ის რუსის ჩინოვნიკები, ის დენიკინელები, ის გუბსკები, რომლებიც მათრახებით დაგვდევდენ, რომლებმაც გვაწამეს და გვაწანჯეს, ახლა მობრძანებულან ჩვენთან და მეგობრობას გვეფიცებიან! ამ დრომდი დაპყრობით, დენიკინით გვემუქრებოდენ—მოვა დენიკინი და გაყურებინებთ სეირსო—ახლა კი გვეუბნებიან: იარაღი აიღეთ, დაგეხმარებით, ქართველები არ ჩამოუშვათო.

ძმებო! ნუ თუ ვინმე მართლა ფიქრობთ, რომ რუსებს ჩვენი კარგი სურთ?

განა ესენი არ არიან, რომ ჩვენს ოლქში არ ად არ გაგვაკარეს მართვა-გამგეობის საქმეს? განა ესენი არ არიან, რომ ყოველთვის და ყველგან გვდევნიდენ?

და განა ამათ უნდა ვენდოთ? არასოდეს.

ჩვენი ერთად ერთი გზა, ერთად ერთი ბედნიერება საქართველოსთან ერთობაშია. ფართე ავტონომია საქართველოს ფარგლებში, აი რა გვიხსნის ჩვენ. სხვა გზა არ არის.

ზოგიერთები ავრცელებენ ცრუ ხმებს, რომ თითქო ჩვენ საქართველო ფართე ავტონომიას არ მოგვცემს. და ასეთ ხმებს ავრცელებენ მიტომ, რომ თქვენ გული აგიცრუონ საქართველოზე. აი რა მოწოდებით მოგვმართა ჩვენ საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ ყველასაგან პატივცემულმა, მთელ ქვეყანაში სახელგანთქმულმა ნოე ჟორდანიამ:

„თანახმად მთელი საქართველოს მოქალაქეთა სურვილისა და პარლამენტის დადგენილებისა, ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა საყოველთაოდ და გადაჭრით აცხადებს, რომ სამუსლიმანო საქართველოს ის ანიჭებს ავტონომიას. თვით მუსლიმანი ქართველების წარმომადგენელნი გამოსცემენ კანონებს, რომლითაც ისინი სამუსლიმანო საქართველოში თავის ერობაზე და თავისი სინდისისამებრ მოაწყობენ თავის ცხოვრებას, მტკიცე კანონებით უზრუნველყოფენ თავისი სარწმუნოების უფლებებსა, მოაწესრიგებენ ადგილობრივ საქმეებსა და მით დაამყარებენ თავის სამშობლო მხარეში ბედნიერებას“.

და საქართველოს მთავრობა ამ თავის გადაწყვეტილებას არასოდეს არ უარყოფს.

გახსოვდეთ, რომ ჩვენი ხსნა, ჩვენი ბედნიერება საქართველოსთან ერთობაშია. ფართე ავტონომია საქართველოს ფარგლებში—აი რა გვიხსნის ჩვენ, სხვა გზა არაა.

იყოს კურთხევა ალლაჰისა თქვენზე დღ.

სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ მთავარ კომიტეტის თავმჯდომარე **მემედ ბეგ აბაშიძე.**

# ერობა

**ტფილის მაზრის ერობა.**

8 თებერვალს შესდგა ტფილისის მაზრის ერობის ხმოსანთა მეექვსე ყრილობა. (ლ. ასათიანის თავმჯდომარეობით.) სხდომები სამ დღეს გაგრძელდა. დღის წესრიგში ბევრი რთული და სერიოზული საკითხი იდგა: მაგ. ერობისთვის ბინის შეძენა, დიღომ ავჭალის მინდვრების მორწყვა და სხვა.

ერობისათვის ბინის შეძენის შესახებ კრებამ დაავალა გამგეობას აღუძრას შუამდგომლობა მთავრობის და ქალაქის თვითმართველობის წინაშე, თანახმად კანონის № 100, იმ სახლის ჩამორთმევის შესახებ, რომ ლშიაც მოთავსებულია ერობა. ბინის შესაძენათ და შესაკეთებლად კრებამ გადასდო 2.000000 მანეთი.

დიღომ ავჭალის მინდვრების მორწყვა განზრახულია არაგვიდან წამოყვანილი არხით. მოსარწყავი მინდვრების ნახევარი შეადგენს სახელმწიფო საკუთრებას და ამისათვის, იმედია, მთავრობა დიდ დახმარებას გაუწევს ამ საქმეში ერობას, როგორც ფინანსიურს, აგრეთვე მორალურს. ამ საქმით დაინტერესებულია აგრეთვე ქალაქის თვითმართველობა. უკანასკნელი გამოკვლევით არაგვს შეუძლიან მისცეს 20,000 ცხენის ძალა, რომელიც სავსებით გადასჭრის ელექტრონის კრიზისის საკითხს ქალაქში. მიიღო რა მხედველობაში ამ საქმის როგორც კულტურული, აგრეთვე ეკონომიური მნიშვნელობა, კრებამ აირჩია დიღომ-ავჭალის კომისია, რომელიც უნდა დაეხმაროს გამგეობას ამ საქმის საჩქაროთ მოწყობაში. ხოლო კომისიის მუშაობაში გამგეობა არ უნდა დაერიდოს არავითარ საჭირო ხარჯებს.

კრებამ მიიღო აგრეთვე შემდეგი დადგენილებები: დაარსა სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად აღიარების დღის აღსანიშნავად 5 სტიპენდია 1500 მანეთი თვითეულ სტიპენდიანტს თვეში. ბილეთარისკი კედიაშვილის 30 წლის იუბილეს აღსანიშნავათ იუბილიარის სასარგებლოდ ნიშნად პატივისცემისა გადაიდო 3000 მანეთი. ერობისათვის ბიბლიოთეკის შესაძენათ გადაიდო 100000 მანეთი.

# ქალაქის თვითმართველობაში.

ქალაქის გამგეობამ მოისმინა სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორის კ. მეუნარგიას მოხსენება ქალაქის მეორე საავადმყოფოს სანეო ნაწილის მოუწესრიგებლობის შესახებ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ საავადმყოფოს ქონება გაფანტულია და არ არსებობს არავითარი წესი ქონების მიღება-გაცემისა. გამგეობამ ამ საკითხის შესახებ დაადგინა: ქალაქის მეორე სამკურნალოს სანეო ნაწილი მოეწყოს ისე, როგორც ეს არის ქალაქის პირველ საავადმყოფოში. შეტანილ იქნას გამგეობის სასურსათო განყოფილებაში ნაწილი იმ თანხისა, რომელიც გადებული იქნება მეორე საავადმყოფოს შესანახათ და ამ თანხის საშუალებით მიეცეს საავადმყოფოს საჭირო სანოვაგე იმ ანგარიშით, რომ ძირითადი თანხა აღდგენილ იქნეს ხარჯების გაწევის თანახმათ.

ეთხოვოს კონტროლს საავადმყოფოს შესანახ ხარჯების რაოდენობის და აგრეთვე საავადმყოფოს ქონების დღევანდელ მდგომარეობის სასწრაფოთ გამოკვლევა.

— ქალაქის გამგეობამ დაადგინა დიდუბის ამბულატორიისა და საბეთლო სადგურის საჭიროებისათვის ჩამოერთვას სასტუმრო „ზაპადი“ მის მოიჯარადრეს.

— ქალაქის გამგეობამ ნება დართო ტფილისში მოსამსახურე გამომძიებლებს რიცხვით 21 კაცს ფას გადახდით დაიჭირონ ტრამვაის წინა ბაქნაზე ადგილი რიგს გარეშე, რისთვისაც მიეცათ მათ ამის შესაფერი მოწმობები.

— ქალაქის გამგეობამ დაადგინა გამოაცხადოს საჯარო ვაჭრობა 722 ფუთის დასამზადებლად სამისამართო მაგიდისათვის, რისთვისაც საჭირო თანხა 43,900 მანეთია გადადებული.

# დეპეშები.

(საქართვ. დეპეშათა სააგენტო)

**ინგლისური ცნობა.**

გერმანიის მილიტარიზმმა ბოლო მოუღო სწავლას: ძალა უფლება არისო. მოკავშირეთა ჯარებმა შესძლეს ეს. იმ ერთა ხელშეკრულებამ, რომელიც ინგლისის სახელში შეიკრა, პრაქტიკულათ სრულებით მოსპო ფარული ხელშეკრულებანი. მრავალი ფიქრობს, რომ ომის მოსპობა შეუძლებელია, მაგრამ აქაც ისეთივე პრინციპით უნდა ვიხელმძღვანელოთ, როგორც კერძო დავაში. თუ ორ ერს შორის გაუგებრობა ხდება ერთა ლიგა ამ საქმეს განიხილავს და თავის გადაწყვეტილებას გამოიტანს. ის სახელმწიფო, რომელიც აგვარ გადაწყვეტილებას არ დაემორჩილება, თავის წინააღმდეგ აიმხედრებს ერთა ლიგას.

თემთა პალატამ აამირჩია ** კომისია ქონებაზე გადასახადის დაწესების საკითხის განსახილველად. ყოველგვარ ქონებაზე გადასახადის დაწესების წინააღმდეგ წავიდა ხაზინის ლორდ-კანცლერი. მან განაცხადა: ფინანსიური მდგომარეობა უმჯობესდება; მრეწველობის განვითარება ქვეყნის ყოველგვარ გასაჭირიდან გამოიყვანსო.

ეს მომხრეა დაბეგრონ ომით შეძენილი ქონება იმ შემთხვევაში, თუ კი ამისთვის სამართლიან და მოხერხებულ გზას გამონახავენ. ის პირები, რომელნიც ომის განმავლობაში მოულოდნელად გამდიდრდენ, უნდა მოწვეულ იქნან ქვეყნის ხარჯის დასაფარავადაც.

**ფრანგული პრესა.**

მოკავშირეებმა მხედველობაში მიიღეს გერმანიის მთავრობის განცხადება იმის შესახებ, რომ იგი მზათ არის დაუყოვნებლივ შეუდგეს ლაიპციგის სასამართლოში სისხლის სამართლის წესების თანახმად ყველა იმ სამხედრო სამოქალაქო პირთა გასამართლებას, რომელთაც მოკავშირეთა გასამართლებაში და სასამართლოს განაჩენზე ყოველგვარი პასუხისმგებლობა დაეკისრება თვით გერმანიის მთავრობას.

**მოსკოვი.** სრულიად რუსეთის პროფესიონალურ კავშირებთა მესამე ყრილობა გადადებულია აპრილის 6. პრესის მიმოხილვა: „პრავდაში“ ბუხარინი ჰყვება იმაზე, თუ როგორი შთაბეჭდილება მოახდინა მ. გორკისთან საუბარმა. ჩვენს გარშემო მათხოვრობა, ავადმყოფობა და შიმშილია, სწერს იგი. გორკი მხიარულობს ისე, როგორც არასოდეს. დადგა დღესასწაული. გორკიმ იგრძნო და შეხედა მას, როგორც მართლაც ახალი ეპოქის დასაწყისია.

მან შეხედა შრომას, რომელიც მოსპობს მათხოვრობას, შიმშილს და რომელიც აშკარა ლობიანობას დაამყარებს. გატაცებით და აღფრთოვანებით ლაპარაკობს გორკი შრომის არმიებზე. გორკის სიტყვით, პეტროგრადში გადატეხა სჩანს, არა თუ მარტო პროლეტარიატებში, არამედ თვით ინტელიგენციაში. რუსეთის მეცნიერების ძველმა გვარდიამ საუკეთესო მეცნიერებმა, ინჟინერებმა, ქიმიკოსებმა და მათემატიკოსებმა შეხედეს, რომ საბჭოთა რუსეთს სურს და შეუძლია არა თუ დაანგრიოს ძველი, არამედ შექმნას ახალიც და შექმნას სერიოზულად. იწყება ინტელიგენციის საბჭოთა პლატფორმაზე გადასვლა. რამ შექმნა ეს ცვლილება? კითხულობს ბუხარინი და უპასუხებს: პროლეტარიატის შეკავშირებულმა ძალამ ფრონტზე, ბლოკადის მოხსნამ, შრომისადმი იმ გატაცებამ, რომელიც პროლეტარიატის პარტიამ გააძლიერა. სწორედ ამიტომ ბრწყინავს გორკი და გრძნობით ამბობს ერთ სიტყვას: „დიდებულია“.

**შრომის ფრონტი.** მოსკოვში შესდგა „სამის კომისია“. შიგ შედის ერთი წარმომადგენელი მოსკოვის საბჭოთა მთავრობისაგან, ერთი პროფ. კავშ. საბჭოებისაგან და ერთიც ქალ. თვით. სამეურნეო საბჭოსაგან. კომისიის უმთავრეს მიზანს შეადგენს გაძლიერება შრომის ნაყოფიერებისა და შრომის დისციპლინის. კომისიამ მოსკოვის მუშებისადმი გამოსცა მოწოდება, რომელშიაც ნათქვამია: მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად კომისია მთელი თავისი არსებით ხელს შეუწყობს საქონლის როგორც მოტანას, აგრეთვე განაწილებასაც, იგი მოაწყობს ახალ ორგანიზაციებს მუშების სურსათით უზრუნველსაყოფად, მოსპობს ქარხნებში, ფაბრიკებში და დაწესებულებებში ყოველგვარ უხერხულებებსა და უწესოებებს შრომის ნაყოფიერების გასაძლიერებლად კომისია გადაჭრით ებრძვის, შრომის ენერგიის დაცემისა და დეზორგანიზაციის ყოველ გვარ გამოხატულებას“. მოწოდება შემდეგი სიტყვით თავდება: „ამხანაგებო, დროა ზურგს უკან მყოფნიც ავინძრეთ და თავიდან მოვიცილოთ ჩვენი უმთავრესი მტერი უსაქმობა“.

**ნოვგოროდი.** 16 თებერვალს. ნოვგოროდის მოსამსახურეებმა და მუშებმა უკანასკნელ „ვოსკრესნიკი“-ს დროს 20 ვაგონი შეშა გადმოტვირთეს. სადგ. „პ...ტინო“ რკინის გზელებმა დატვირთეს 11 ვაგონი შეშა.

**ყაზანი** 17 თებ. ქალხთა მე 8 ყრილობამ დაადგინა შრომის ბეგარა ტრანსპორტის გასაუმჯობესებლად ცხოვრებაში გაატაროს.

**მოსკოვის საბჭოს არჩევნები.** მეორე და მესამე დღის არჩევნებში კომუნისტები გავიდნენ. კრასნაია—პრესნიამ თავის დეპუტატათ ლენინი აირჩია.

**მოსკოვის სამხედრო ცნობა.** 18 თებერვალს. ჩვენმა ჯარმა სელეცკოე აიღო. ჩოდილოეთ დვინის ორივე მხარეზე რამდენიმე სოფელი ავიღეთ. არხანგელსკის მიმართულებით 411 ვერსზე მყოფი ბაქანი ავიღეთ. ბრძოლა გრძელდება. სებეჟის რაიონში მტერი ჩვენი წინა ნაწილების დამარცხებას სცდილობს, მაგრამ ამაოდ.

**საბჭოთა რუსეთში.** მოსკოვის ფაბრიკების და ქარხნების მუშებმა დაიწყეს ორთქმავალის და ვაგონების კეთება. შეკეთებული ვაგონებით თვით მიდიან პურისათვის. გზათა სახალხო კომისარიატმა უკანასკნელ კვირაში 105 ორთქმავალი და 4000 ვაგონი გამოუშვა. რკინისგზელთა პროფ. კავშირმა მიმართა ყველა წევრს, მოწოდებით, რომ საჭიროა გმირული ძალა რკინის გზის აღსადგენათ. კავშირი მოუწოდებს ამხანაგებს დაზგებისაკენ, ორთქმავლებისაკენ, ვაგონებისაკენ და მოითხოვს ძალდატანებასაც თუ ეს აუცილებელი შეიქნება.

# სხვა და სხვა

✦ საშუალო სახელმწიფო კულტურ-ტექნიკური სასწავლებელი პარასკევს, 20 თებერვალს, მართავს საღამოს. დასაწყისი საღამოს $7^1/_2$ საათზედ.

✦ სახალხო სახლთან არსებულ ქართულ სახალხო წარმოდგენის მმართველი წრისათვის საჭიროა გამოცდილი მოკარნახე. პირობების გაგება შეიძლება სახალხო სახლის ქართველ წრის კანტორაში, პლეხანოვის ქუჩა № 102, ეხლა საღამოს 6 საათ. 8-მდე.

✦ მიწათ-მოქმედების სამინისტროს სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგე დ. გედევანიშვილი თანამდებობიდან გადადგა; მის ადგილზე დაინიშნა ბ-ნი ჩხაიძე.

✦ იტალიის სამოქალაქო მისიის სატექნიკო კომისია გზათა დეპარტამენტის დირექტორთან ერთად ხაშურში გაემგზავრა იქაურ დეპოს და სურამის გვირაბის დასათვალიერებლათ.

✦ 18 თებერვალს იტალიის სამოქალაქო მისიის მეთაური სენატორი კონტი სადარბაზოდ ეწვია დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის უფროს ამხანაგს ალ. ლომთათიძეს, რომელმაც დარბაზობა გადაუხადა სენატორ კონტის იმავე დღეს.

✦ გუშინ განახლდა მატარებლების მიმოსვლა კახეთის რკინის გზაზე.

✦ ორშაბათს, 23 თებერვალს შესდგება ტფილისის გარეუბნის სათემო თემის ხმოსანთა მეოთხე არაჩვეულებრივი ყრილობა.

✦ 15 თებერვალს გზათა დეპარტამენტის განცხადებით დანიშნული იყო ტყიბულის ქვანახშირის მასალების გასაცემათ შეჯიბრება, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 3 კაცმა, მაგრამ მათი პირობები მიუღებელი აღმოჩნდა გზათა დეპარტამენტისთვის. ამიტომ გზათა დეპარტამენტს განზრახული აქვს ან ხელახლათ დანიშნოს შეჯიბრება ან ამ შეჯიბრების შედეგი მთავრობას მოახსენოს. შეჯიბრების პირობები განხილულ იქნა დეპარტამენტის საბჭოში.

✦ კვირას, 22 თებერვალს დილის 10 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ აუდიტორიაში დანიშნულია ამავე უნივერსიტეტის სტუდენტ-მსმენელთა საზოგადო კრება, სადაც მოხსენებული იქნება გამგეობის ერთი წლის მუშაობის შესახებ და შესდგება ახალი გამგეობის არჩევნები.

✦ ტფილისის გარეუბნის სათემო ერობის გამგეობამ თხოვნით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს და ერობათა კავშირის მთავარ კომიტეტს, რათა დახმარება აღმოუჩინონ გარეუბნის სოფლებს სურსათის შეძენაში, ვინა-

იდან სოფლები აუწერელ შიმშილს განიცდიან. მცხოვრებნი ხორბლის ნაქაჩით („ქუმახი“) იკვებებიან. მოსალოდნელია მდგომარეობის უფრო გაუარესება. შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი დაპირდა, რომ ის იშუამდგომლებს ამის შესახებ მომარაგების სამინისტროს წინაშე.

✦ მთავრობის თავმჯდომარემ შემდეგი დეპეშა მიიღო: ფოთის ვაჭარ მრეწველთა კავშირი, შეკრებილი ნადიმზე იტალიის მისიის პატივსაცემლად, მოგესალმებათ თქვენ, ბატონო თავმჯდომარე და გისურვებთ კიდევ დიდ ხანს გვენახოთ ჩვენი ერის სათავეში. ამასთანავე იმედს გამოვთქვამთ, რომ თქვენ ხელს შეუწყობთ ჩვენი სამშობლოს ვაჭრობა მრეწველობის აყვავებას და ამით მოგვანიჭებთ ეროვნულ ეკონომიურ დამოუკიდებლობას. თავმჯდომარე საბახტარაშვილი.

✦ გზათა დეპარტამენტმა დამფუძნებელ კრებაში წარსადგენათ შეიმუშავა მოხსენება და პროექტი დეკრეტისა რკინის გზებზე ტარიფის გადიდების შესახებ.

✦ 18 თებერვალს იტალიის მისიის ტეხნიკურმა კომისიამ გზათა დეპარტამენტის დირექტორთან ერთად დაათვალიერა სახაზინო რკინის გზების მთავარი სახელოსნოები.

✦ 11 თებერვალს ქ. ბაქოში გაემგზავრა სახაზინო რკინისგზათა უფროსი ინჟინერი ა. კანდელაკი, რომელიც საქართველოს რკინის გზების წარმომადგენელ ჩ. ჩიბაიასთან ერთად მოლაპარაკებას აწარმოებს ადერბეიჯანის მთავრობასთან საქართველოსთვის ნავთის შესყიდვის შესახებ. 17 თებერვალს ინჟინერი კანდელაკი პირდაპირი მავთულით ელაპარაკა ამის შესახებ გზათა დეპარტამენტის დირექტორს.

✦ ამერიკის გენერალურ კონსულის ცნობით, ნიუ—იორკში იანვარში გარდაიცვალა ტფილისში ამერიკის კონსულათ ნამყოფი ვილლი შეი სმიტი.

✦ დამფუძნებელ კრების საბიუჯეტო-საფინანსო კომისიამ მოიწონა მიწათ მოქმედების სამინისტროს კანცელარიის და ყველა დაწესებულებათა შტატები და ხარჯთ აღრიცხვა.

✦ დამფუძნებელ კრების საბიუჯეტო საფინანსო კომისიამ დაადასტურა შრომის სამინისტროს კანცელარიის შტატები და ხარჯთაღრიცხვა.

# რკინის გზაზე

ადერბეიჯანის მთავრობამ იყიდა ბათუმში 70.000 ფ. შაქარი, 155 ვაგ. წუწუმა. ამ ტვირთის გადასატანათ საქართველოს რკინის გზა წარადგენს შაქრით დასატვირთავად 14 ვაგონს დღეში და შემდეგ წუწუმისათვის 20 ვაგონს დღეში.

—

საქართველოს სანურსათო სამინისტრომ ტფილისიდან ფოთით გაგზავნა საზღვარ გარეთ 45 ვაგ. თამბაქო და 14.000 ფუთი ცხვრის ტყავი.

—

